9
04863



რაჭული სიმღერები

შეკრებილ-შედგენილი ეგვენი დვალისაგან.

გამოცემა გეო. ფანჯავიძის მიერ.

თფილისი ქალაქი
1918 წ.

899.962.1-1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლე წინა სიტყვაობა

მე არც კომპოზიტორი ვარ და არც დოტბარი მაგრამ, ეს კი მაინც თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ რაჭველ ხალხს თავის განსაკუთრებულ ფერხულ თამაშთან და სტვირთა საუცხოვო ეღერა-ღილინთან თუ დაკვრასთან, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს ყველა მნახველი, აქვს კიდევ ისეთი განსაკუთრებული ლამაზი ხმების და კილოების ეგრედ წოდებული „ორ პირი სიმღერები“ თავის ლამაზი ტექსტური შემადგენლობით როგორც სამხედრო-ლაშქრული ისე სხვაც, რომ მათ ბადალ სიმღერებს ჩვენს ქართულ სიმღერებში თითქმის მეორეს ვერ ვნახავთ. რომლებსაც შემდეგი სათაურები აქვსთ. 1. „მადლა მთასმო დგა უცხო ფრინველი 2. ქალსა ვისმეს ქალსა ვისმეს ერქვა შუშუნაო“ ''ჭერიოდა ქრისტე ადსდგა გიხარიდესთ'' 4. „ქვედრულა მოდიდებულა'' 5. ,,თამარის წყარო'' და და სხვა კიდევ ბევრი მაგალითად „მაურული'' „ალიდო'' „ბატონები'' ,,აბრამ-იობი'' ,,მრავალ-ყამიერ'' ,,წერეთელი'' და სხვა ერთი სიტყვით მთელი რიგი საერო სახალხო სიმღერებისა. ამიტომ ამ წიგნაკში მოყვანილი ლექსები სისწორით ავსწერე და კიდეც დავბეჭდე რათა არავის დავიწყებოდა და არ დაკარგულიყო. ამასთანავე რაჭველ მუშა-მშრომელი პირებისაგან რომლებმაც ზედ მიწევნით კარგად იციან ამ სიმღერების კილოებზე სიმღერა და მას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თან ფერხული თამაშიც შევადგინე მათგან თფილისში მუდმივი ჯგუფი თუ გუნდი რომელიც შემდეგი პირები შედიან:

1. ლუკა კერვალიშვილი. 2. მალაქია არჩვაძე. 3. პავლე ღოთვაძე. 4. არსენ ბურდილაძე. 5. კოლა ბრეგვაძე-ობოლაშვილი. 6. ვანო ლებანიძე. 7. რევაზ გრძელიშვილი 8. ილიკო აბაიშვილი. 9. ვასილ ტოგონიძე. 10. იასონ ნასირაძე. 11. ათანასე ქვათაძე. 12. თეოფილე გიორგობიანი. 13. ანდრო ბიჭაშვილი. 14 ვასილ საგანელიძე. 15. ექვთიმე გოგლიძე. 16 სანდრო ქვათაძე. 17. ისიდორ ტოროშელიძე. 18 ევგენი გოგლიძე. 19. გრიგოლ თოდაძე.

ახლა მივმართავ ჩვენს საზოგადოებას განსაკუთრებით კი მუსიკოსებს, რომ ამ საქმეს ჯეროვანი სათანადო ანგარიში გაუწიონ და ეს ჩვენი საუკეთესო ძველი სიმღერები ნოტებზე გადაიღონ ჯგუფის საქმე ყოველ მხრივად გააუმჯობესონ და ასე ამნაირად საქმე სასურველ მდგომარეობაში ჩააყენონ ჩვენი ერის სასიამოვნოთ და სასახელოთ.

ევგენი დვალი.

მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
თეთრი ფრთიანი, ბოლო წითელი
სულ მთლად დვალეთი ფაიქომელი!

—

ყღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი
სულ მთლად დვალეთის ომი შეიქნა,
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა
შუბის ნალეწნი ზეცას ცვიოდა, ჩამოცვიოდა!

—

ხმალი, ორპირი სისხლში სცურავდა, გამოსცურავდა,
ჯაფარ გაიქცა, სვეტი წაიქცა,
სვეტი ოქროსი, სვეტი ოქროსი,
ჯაფარ ვერ წახვალ შინა მშვიდობით
ცოლს რას მიუტან ლაშქრულს ამბავსა!

—

ჩვენი რეიქნენ? ჩვენი რეიქნენ?
უკან მოდიან დაჭრილებითა!
ომი დასრულდა, ომი გათავდა
რაჭველი ლაშქრის გამარჯვებითა!

ქვედრული მოდიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვედრულა მოდიდებულა თან მოაქვს მთა-ბარია,
ლალაშვილს დაუქადნია მე მომდის ბევრი ქერია.

—

შენი ქვედრულა მოგიკვდეს თუ ვერ გიცვალოს ფერია!
მოსტაცა კალო საბრძელი, სამასი კოდი ქერია!

—

წისქვილიც უკან გაჰკიდა წადი და აქა ფქვევია,
გობ-საცერიც გაადევნა წადი და იქა სცერია!

—

კეცებიც უკან გაჰკიდა წადი და იქა სცხვევია,
დიასახლისი სტიროდა ვაი რას მოვესწარია!

—

მომივა გულის სტუმარი ჭადზედ ვარ მასპინძელია,
რავქნა რითა ვსცე პატივი? სჯობს გამოვიჭრა ყელია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალსა ვისმეს ქალსა ვისმეს ერქვა შუშუნაო.

ქალსა ვისმეს ქალსა ვისმეს, ერქვა შუშუნაო,
ოთხსა თითსა, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედიო!

—

ბეჭდის თვალსა ბეჭდის თვალსა იყო ბოსტანიო,
ბოსტანს შუა ბოსტანს შუა მოლი მოსულაო!

—

მოლთა შუა მოლთა შუა, ნაძვი ასულაო,
ნაძვის წვერსა ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ედგაო!

—

ბუდე იყო, ბუდე იყო, აბრეშუმისაო,
კვერცხი ედო, კვერცხი ედო იაგუნდისაო!

—

გადმოსტეხა, გადმოჩეკა მარგალიტისაო,
ღმერთო ერთი ღმერთო ერთი ჩვენთვის გაზარდეო!

—

სხვა ათასი სხვა ათასი, სხვას გაუზარდეო,
სანადიროთ, სანადიროთ გზა გაუწალდეო!

—

ნასადილებს ნასადილებს მოჰკლას ირემიო,
ეიკიდოს ეიკიდოს შინ მოიტანოსო!

—

ჩემო ცოლო ჩემო ცოლო, ტურფა ლამაზაო,
მაგ ირემსა მაგ ირემსა ბეწვი აგლიჯეო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ მაგისი შენ მაგისი, ჩოხა დამირთეო,
ნაბოლარის ნაბოლარის წინდა პაიჭიო!

—

ჩემო ქმარო ჩემო ქმარო, ლომო და გმიროო,
მაგ ალვის ხეს მაგ ელვის ხეს ტოტი შესტეხეო!

—

შენც მაგისი შენც მაგისი სახლი დამიდგიო!

—

ნაფოტისაც ნაფოტისაც წისქვილ-ბელელიო,
სიყვარულით, სიხარულით გავლიოთ დღენიო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარის წყარო.

შქმერსა აქვს ერთი მინდორი
ფოცხვრევი, სახელ დებული,
იქ მოდის წმინდა ბალახი
და თივა მეტად ქებული!

—

გამოჩუხჩუხებს ცივ-წყარო
ცივი და მიროონ ცხებული,
სასიამოვნო სასმელი
თამარის გაკეთებული!

—

ხალხი უწოდებს მუდამ მას
თამარ-დედოფლის წყაროსა,
ქართველმა მისი ხსენებით
როგორ არ გაიხაროსა!

—

ფოცხვრების ძირზედ კლე არის,
მაღალი მეტად გრძელია,
შუაზედ გამოქვაბულში
სახტარი არის ძველია!

═

ის ძველ დროს აშენებულა
გადმოცემა გვაქვს წრფელია,
გზა შესავალი არ უჩანს
ძირს ახლავს ტყე და ველია!

—

შიგ ასვენია თამარი
მთელ საქართველოს მხსნელია,
შიგ სანახავად ვერ შედის
კაცი ძე-ხორციელია!

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალილო

ალილო და აქა ალილო,
ოცდა ხუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო!
მოგილოცავთ დიდ-პატარას
ამ ბრწყინვალე ზე-დღესასო!

—

შობა ღმერთა გაგითენოთ
ბევრიც ახალ წელიწადი
სახლად ღმერმან აგაშენოთ,
მოგცეთ დოვლათ-ბარაქაო!

—

მასპინძელო გაგვისტუმრე
ბევრგანა ვართ მისასვლელი,
ჩვენ მათხოვარი არა ვართ,
ვართ ქრისტეს მახარობელი!

მაყრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰა დილა და მოვდივართ მოგვიხარია,
მოგვყავს ლამაზი ქალიო,
ქალი ლამაზი კეკლუცი
მზე ია-ვარდის ცალიო!

—

ღმერთო ბედნიერი ჰქენი
მიეცი მომავალიო,
მასპინძელო იზეიმე
მოგგვარეთ კარგი რძალიო!

—

სახლ-კარი დაგიმშვენდება
მტერს დაუდგება თვალიო,
დიდება მეფე დედოფალს
უკვდავი გარდუვალო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალიე ჩემო ბატონო.

დალიე ჩემო ბატონო
დალიე და დადგი თასი
ღმერთმან თაფლივით შეგარგოს
ეგ და სხვაც ბევრი ათასი!

—

დალიე ჩემო ბატონო
დალიე დამალევინე,
წვეთი არ დარჩეს თასშია
დასცალე დამაცლევინე!

—

დალიე ჩემო ბატონო,
უარს ნუ მეტყვი ამაში,
ჩვენს სახლში ჩვენსა მარანში
სულ ლხინი იყოს თამაში!

—

დალიე ჩემო ბატონო
დალიე და შეგერგება,
ზედაში არის ნაკურთხი
შიგ ცის მადლი ინახება!
ჰა! დალიე დალიე!
დალიე ჩემო ბატონო
დალიე! დალიე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰერიოდა ქრისტე აღსდგა გიხაროდესთ!

ჰერიოდა ქრისტე აღსდგა გიხაროდესთ,
ჰერიოდა მადლი მახაროობელსაო,
ჰერიოდა რომელსა და რომელსაო,
ჰერიოდა ჩვენსა მახაროობელსაო!

—

ჰერიოდა მოსულა მოუტანია
ჰერიოდა წითელ-ყვითელ მრავალი,
ჰერიოდა გეიხაროს ყველა სულმა,
ჰერიოდა ყველა სულმა სულიერმა!

—

ჰერიოდა ზეცას იხაროს ფრინველმა,
ჰერიოდა ძირს ვაჟკაცთ ნამუშევარმა,
ჰერიოდა ტყეში ქალები წავიდენ
ჰერიოდა ქალაკოდას საკრეფელად
ჰერიოდა იმათაც გაიხარონო!

—

ჰერიოდა გუშინ ჩვენმა მოყვარემა
ჰერიოდა ზედ ჭიშკარი გადგვიარა,
ჰერიოდა თავს ედგა ქუდი მაღალი,
ჰერიოდა ქუდი ლალში შეღებილი!

K 14.389 / 3

FS 6486 / 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერიოდა ტანსა ეკვა თეთრი ჩოხა
ჰერიოდა ჩოხა თეთრი არყანისა.
ჰერიოდა მისი ჩოხა მისი ქუდი
ჰერიოდა ნიავმა შეურხიოსა!

—

ჰერიოდა ნიავწვრილი მზესა ჰყვება
ჰერიოდა ავი დარი ავსა დარსა,
ჰერიოდა დიდსა ჭურსა ცარიელსა,
ჰერიოდა სავსე ქვევრი გვირჩევნია!

—

ჰერიოდა დიდსა კაცსა ბებერასა
ჰერიოდა ახალგაზრდა გვირჩევნია,
ჰერიოდა მრავალს ამ დღეს ჩვენი თავი
ჰერიოდა რომ შვიდობით ვყოფილიყოთ!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 1 მარჩილი.